პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 129 (3613)

3 ივლისი, ოთხშაბათი. 1968 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა ვარდო ქუთათელაძემ („ლოკომოტივი") კარგა ხანია მოიპოვა აღიარება რესპუბლიკის საუკეთესო სპრინტერისა. წლეულს მან რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა 200 მეტრზე რბენაში. ამას წინათ საერთაშორისო ტურნირში „პრავდის" პრიზზე ვარდომ 24,5 წამი აჩვენა და პირადი რეკორდი დაამყარა.

* * *

სურათზე: ვ. ქუთათელაძე ფინიშთან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



## [illegible] საათი...

◆ სტამბოლი, 2 ივლისი. „თურქეთის ტურში" ლიდერობას ისევ რსფსრ-ს ველოსიპედისტთა ნაკრები ინარჩუნებს (8 ეტაპის შემდეგ — 85:01.39). ჰოლანდიელები კვლავ II ადგილზე არიან. პირად ჩათვლაში დაწინაურებული ა. კულიბინის (გორკი) დრო 28:13.24. II ადგილზე მყოფი ჩეხოსლოვაკიელი მარეკი ლიდერს 4 წუთითა და 18 წამით ჩამორჩება. III ადგილზეა სოჭელი გ. საიდხუჟინი (28:21.26), IV — ლიპეცკელი ნ. ფადეევი (28:24.36).

◆ ააჰენი (გფრ), 2 ივლისი. ცხენოსნობაში აქ გამართულმა ტრადიციულმა შეჯიბრებამ მსოფლიოს საუკეთესო მხედრებს მოუყარა თავი. ცხენის გახედნაში III საპრიზო ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენმა ი. კიზიმოვმა (ცხენი იხორი) — 21,5 ქულა. IV ადგილზეა მოსკოველი ი. კალიტა, რომელმაც სახელგანთქმული აბსენტით 21,4 ქულა მოაგროვა. ყველას აჯობა ი. ნეკერმანმა (გფრ) — 23,5 ქულა.

◆ **ლონდონი, 2 ივლისი.** უიმბლდონის ტურნირის მესამე წრე საბჭოთა ჩოგბურთელთათვის უიღბლო გამოდგა. ერთეულთა შეჯიბრებებში ორივე საბჭოთა ჩემპიონი ამერიკელ პროფესიონალებთან დამარცხდა: გ. ბაკშეევა რ. კაზალსთან (6:8, 6:3, 5:7), ხოლო ა. მეტრეველი — დ. რალსტონთან (3:6, 5:7, 2:6). 91 წელიწადს ითვლის უიმბლდონის ტურნირი და ასეთი დიდი ანგარიში ერთ პარტიაში არასოდეს ყოფილა. ორშაბათს გამართულ წყვილთა შეჯიბრებაში პროფესიონალებმა პ. სეგურამ (ეკვადორი) და ა. ოლმედომ (პერუ) სამხრეთაფრიკელ მოყვარულებს ა. სეგალსა და გ. ფორბსს პირველი პარტია მოუგეს — 32:30! მომდევნო პარტიების ანგარიშია 5:7, 6:4, 6:4.

◆ მეხიკო, 2 ივლისი. ადგილობრივ ოლიმპიურ აუზში გამართულ შეჯიბრებაში მექსიკელმა ლაურა ვაკამ 800 მ თავისუფალი სტილით 9 წუთსა და 40,6 წამში გაცურა, რითაც 7,4 წამით გააუმჯობესა აუზის რეკორდი, შარშან წინაოლიმპიურ შეჯიბრებაში რომ დაამყარა მსოფლიოს რეკორდსმენმა დ. მაიერმა (აშშ).

◆ **ტუნისი, 2 ივლისი.** ჩრდილოეთ აფრიკის მოკრივეთა აქ გამართული შეჯიბრების ოქროს 10 მედლიდან 9 ტუნისელებმა დაისაკუთრეს. მხოლოდ ქვემსუბუქ წონაში აჯობა ყველას ლიბანის წარმომადგენელმა. ალჟირის მოკრივეებმა ვერცხლის 5 და ბრინჯაოს 4 მედალი მოიპოვეს.

◆ **კასაბლანკა,** 2 ივლისი. **გვინეის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის განმეორებით მატჩში დაამარცხა ალჟირის ეროვნული გუნდი (3:2) და მეხიკოს საგზური მოიპოვა. პირველ მატჩში ეს გუნდები „დაზავდნენ".**

◆ ბიდგოში (პოლონეთი), 2 ივლისი. მეგობრული არმიების ტყვიის მსროლელთა ჩემპიონატი ბრწყინვალედ დაიწყეს საბჭოთა სპორტსმენებმა. სტარტზე მათ ორივე სახეობა მოიგეს, თანაც, მეტად მაღალი შედეგებით. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 60 გასროლით ა. უდაჩინმა მსოფლიოს რეკორდი გაიმეორა (566 ქულა), გუნდმა კი მსოფლიო მიღწევას გადააჭარბა — 2227 (სამწუხაროდ, ეს შედეგები მსოფლიო რეკორდების ცხრილში არ შევა, ვინაიდან რეკორდებად მტკიცდება მხოლოდ კონტინენტისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, აგრეთვე, ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული მაჩვენებლები). ნებისმიერი შაშხანით წოლელა 60 გასროლით ყველას აჯობა ბელორუსიელმა ვ. პარხიმოვიჩმა — 594. გუნდურ შეჯიბრებაშიც საბჭოთა არმიის სნაიპერებმა იმარჯვეს — 2350 ქულა. ორი ვარჯიშის ჯამში საბჭოთა სპორტსმენებს საერთო ჩათვლაში 30 ქულა აქვთ, II-V ადგილებზე მყოფ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ისა და რუმინეთის კოლექტივებს — 20-20.

◆ ლაიპციგი (გდრ), 2 ივლისი. ტყვიის მსროლელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში შვეციის, სსრ კავშირის, უნგრეთისა და გდრ-ის საუკეთესო ოსტატები მონაწილეობენ. ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლაში გამარჯვება იზეიმა ვ. კონიახინმა (სსრ კავშირი) — 1151 ქულა. მანვე II ადგილი დაიკავა მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 60 გასროლაში — 594 ქულა. ასეთივე შედეგი ჰქონდათ: გამარჯვებულ ბ. ჰასელკვისტს (შვეცია), მესამე და მეოთხე პრიზიორებს ო. ლაპკინსა (სსრ კავშირი) და უნგრელ გ. კუტს. კონიახინმა ბრინჯაო მოიპოვა მცირეკალიბრიან სტანდარტზეც. აქ მან 1153 ქულა დააგროვა. გაიმარჯვა დ. აბონიმ (უნგრეთი) — 1159.

## ახალი ამბები

● **ვარშავა,** 1 ივლისი. **ბალტიისპირეთის საერთაშორისო ველორბოლა „მეგობრობა" საბჭოთა ოლიმპიური გუნდისა და ხარკოველი ა. ზახაროვის გამარჯვებით დასრულდა. 12 ეტაპის ჯამში ზახაროვის შედეგია 36:49.33. გუნდურ ჩათვლაში II და III საპრიზო ადგილები დაიკავეს ლიტვის კოლექტივმა და სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა.**

● **ბელგრადი, 1 ივლისი.** იუგოსლავიის ტრასაზე გაიმართა „250-ანების". კლასში მსოფლიო ჩემპიონატის X ეტაპი. ყველას აჯობა შვედმა მოტოკროსმენმა ტ. ჰალმანმა. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ლ. შინკარენკო (IV ადგილი). საერთო ჩათვლაში დაწინაურდნენ ბელგიელი ჟ. რობერი (50 ქულა) და ჰალმანი (41), რომელთაც 4-4 მოგება აქვთ. ჩემპიონატის ფინიშამდე 4 ეტაპი დარჩა.

# ტრადიციულად გაიმარჯვეს

### გ. გურგენიძე — 2,5 ქულა, ნ. ალექსანდრია — 2...

სოჭში დამთავრდა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა XII ამხანაგური ტრადიციული მატჩი. ისე, როგორც ადრე, საბჭოთა მოჭადრაკეებმა ეს შეხვედრაც მოიგეს — 30,5:17,5.

მოგვყავს I და III ტურებში გადადებული პარტიებისა და IV ტურის შეხვედრათა შედეგები.

**I ტური:** სახაროვი — ოსტოიჩი 1:0. **III ტური:** ბრონშტეინი — ივკოვი 0,5:0,5, ზაიცევი — ბუკიჩი 0,5:0,5, გურგენიძე — ნიკოლიჩი 0,5:0,5, რანიკე — ლილიაკი 0:1, ალექსანდრია — იოჟიჩ-ჟივკოვიჩი 0:1.

**IV ტური:** გელერი — გლიგორიჩი 0,5:0,5, ბრონშტეინი — ივკოვი 0,5:0,5, ხოლმოვი — მატულოვიჩი 0,5:0,5, ზაიცევი—ბუკიჩი 0,5:0,5, სახაროვი — ოსტოიჩი 0,5:0,5, გურგენიძე — ნიკოლიჩი 1:0, პლატონოვი — მინიჩი 0,5:0,5, რანიკე — ლილიაკი 0:1, ალექსანდრია — იოჟიჩ-ჟივკოვიჩი 0:1, კონოპლიოვა— ბელამარიჩი 1:0, შტეინბერგი — ფუკაჩი 0,5:0,5, კარპოვი — ბუიაკოვიჩი 0,5:0,5.

საბჭოთა მოჭადრაკეებმა მოიგეს 3 ტური (9,5:2,5; 8,5:3,5; 6,5:5,5) და ერთიც ყაიმით დაამთავრეს—6:6.

აი, ცალკეული მატჩების შედეგებიც: გელერი — გლიგორიჩი 2:2, ბრონშტეინი — ივკოვი 2,5:1,5, ხოლმოვი — მატულოვიჩი 2:2, ი. ზაიცევი — ბუკიჩი 3:1, სახაროვი — ოსტოიჩი 3,5:0,5, გურგენიძე — ნიკოლიჩი 2,5:1,5, პლატონოვი — მინიჩი 1,5:2,5, რანიკე — ლილიაკი 2:2, ალექსანდრია — იოჟიჩ-ჟივკოვიჩი 2:2, კონოპლიოვა — ბელამარიჩი 3,5:0,5, შტეინბერგი — ფუჯაჩი 2,5:1,5, კარპოვი — ბუიაკოვიჩი 3,5:0,5.

**ჭადრაკი**

## დნეპროპეტროვსკში

გუშინ გაიხსნა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მოზარდთა I საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა შეჯიბრება. ტურნირში გამოდიან მოსკოვის, ლენინგრადისა და მოძმე რესპუბლიკების გუნდები.

საქართველოს გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობს: ოსტატობის კანდიდატები ს. ჩიჩელიანი, ჯ. მუკნიაშვილი, პირველთანრიგოსნები მ. ძნელაძე, ვ. ვეფხიშვილი, ა. ხარიტონაშვილი, გ. სიხარულიძე, ნინო ხუბულური და დარეჯან გამყრელიძე (გუნდის მწვრთნელები: ოსტატი ა. ბუსლაევი, ოსტატობის კანდიდატი გ. მაჭავარიანი და ო. ალხანიშვილი).

## ახალი ამბები

● ვარშავა, 1 ივლისი. კუსოჩინსკის მემორიალში 15 სახელმწიფოს მძლეოსნებმა აიღეს სტარტი. შეჯიბრების პირველ დღეს თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია სსრ კავშირის რეკორდსმენმა, გომელელმა ვ. საპეიამ. მან ყველას აჯობა 100 მეტრზე რბენაში — 10,2. ბრძოლა უაღრესად დაძაბული იყო და გამარჯვებულის ვინაობა ფოტოფინიშმა დაადგინა. II და III ადგილებზე გასულ კუბელებს ე. რამირესსა და პ. მონტესს ასეთივე შედეგები ჰქონდათ. 110 მეტრზე თარჯრბენი კარგი დროით (13,8) მოიგო 22 წლის კიეველმა ა. სინიცინმა, რაც ამ ახალგაზრდა მძლეოსნის პირველი დიდი წარმატებაა ამგვარი მაღალი რანგის საერთაშორისო შეჯიბრებაში. ბრწყინვალე შედეგს მიაღწია სიგრძეზე მხტომელმა ქალმა ბ. ბერტელსენმა — 668. ეს ნორვეგიის ახალი რეკორდი და წლევანდელი მსოფლიო სეზონის საუკეთესო შედეგია. II ადგილი დაიკავა პოლონელმა ი. კირშენშტეინ-შჩევინსკამ — 647 სმ. 200 მეტრზე ქალთა რბენაში ყველას აჯობა კუბელმა მ. კობიანმა — 23,7. საბჭოთა მძლეოსნებმა ლ. სამოტიოსოვამ და ვ. პოპკოვამ ერთნაირი დროით (23,8) II და III ადგილები დაიკავეს. მეორე იყო ევროპის რეკორდსმენი ე. გუშჩინიც, რომელმაც ბირთვი 18,63 მეტრზე ჰკრა. ამ სახეობაში გაიმარჯვა პოლონელმა ვ. კომარმა — 19,03. ქალთა ესტაფეტაში 4×100 მ ბადალი არ ჰყავდათ კუბელებს — 45,5. ფინიშთან მეორენი იყვნენ სსრ კავშირის წარმომადგენლები — 45,7. კ. ბალცერმა (გდრ) მოიგო 80 მეტრზე თარჯრბენი — 10,5.

# ზღვებსა და ოკეანეებში

**ნიუპორტი** (როდ-აილენდის შტატი, აშშ), 2 ივლისი. ფინიშთან მოვიდა ერთეულთა ტრანსატლანტიური რბოლის კიდევ ოთხი მონაწილე. თუ არ ჩავთვლით იმ ათ კაცს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზითა და სხვადასხვა დროს გამოაკლდნენ შეჯიბრებას, ოკეანეში გზას აგრძელებს 21 აფროსანი. ინგლისელი ჯ. უილიამსი ნაპირს ჯერ კიდევ 27 ივნისს მოადგა. მიუხედავად ამისა, სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ატლანტის ოკეანის უნაპირო სივრცეებზე გაბნეულ სპორტსმენებს, რომლებიც არავითარ ცნობებს არ იძლევიან, საფრთხე არ ემუქრებათ. ისინი იგონებენ, რომ წინა ასპარეზობაში (1964 წელს) ბოლო მრბოლელი ფინიშთან სტარტიდან 62 დღის შემდეგ მივიდა. ახლანდელი რბოლა კი 1 ივნისს დაიწყო.

**პორტსმუტი** (ინგლისი), 2 ივლისი. ამასობაში გამოჩნდა „კვალი" ინგლისელი ა. როუზისა, რომელიც მისი სახელგანთქმული თანამემამულის ფ. ჩიჩესტერის მსგავსად მარტოდმარტო მოგზაურობს დედამიწის ირგვლივ აფრიანი ნავით. 18 დღე ისე გავიდა, რომ მისგან არაფერი ისმოდა. ძებნა, ავიაციის მონდომება უშედეგო იყო... და აი, როუზი რადიოთი დაუკავშირდა მიწას. აღმოჩნდა, რომ იგი ახლოსაა მშობლიურ ნაპირებთან და მოგზაურობის დასრულებას უახლოეს დღეებში აპირებს.

შეიძლება ითქვას, რომ როუზის სიჩუმის პერიოდში არ ღელავდა მხოლოდ მისი 59 წლის მეუღლე. არაფერი მოუვა, — ეუბნებოდა იგი კორესპონდენტებს. როუზის ცოლს მხოლოდ ის აფიქრებდა, ჩემს გმირ ქმარს რომელ კაბაში გამოწყობილი შევხვდეო.

**[illegible]**

# გამოცდის წინ

მცვინსკოში „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს ახალგაზრდა სპორტსმენებს სერიოზული გამოცდა ელით — მინსკში საკავშირო სპარტაკიადა ეწყობა. რესპუბლიკურ ასპარეზობაში მათ 14 სახეობაში იასპარეზეს. დღეს გაგაცნობთ სპარტაკიადის საბოლოო შედეგებს.

## ხარბიელზეა ორი ონუფრიენკო

ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ ძმები რეკორდებზე არც ფიქრობდნენ. უბრალოდ, ცურვა უყვარდათ და ცურავდნენ. მაგრამ ტუზმა მალე გაიტაცა ვლადიმერი და ვიქტორი, — უფრო „სწრაფ წყალში" სურდათ თავის გამოცდა. ახლა ორივე ძმა პირველთანრიგოსანი და საქართველოს ნაკრების წევრია.

„შრომითი რეზერვების" აუზი ახლაც იღბლიანი გამოდგა ონუფრიენკოებისთვის: 19 წლის ვლადიმერმა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 2.33,1 აჩვენა, რაც „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს ახალი რეკორდია, 16 წლის ვიქტორმა (თბილისის 31-ე პროფტექნიკური სასწავლებელი) კი საზოგადოების ჭაბუკთა რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 1.00,2.

ა. გურასაშვილმა (თბილისის მე-11 სასწავლებელი) 100 მეტრზე ბრასით ცურვაში 1.16,9 აჩვენა. 200 მეტრზე ამავე სტილით ცურვა მოიგო 15 წლის თ. წყაროველმა — 3.00,4. მ. ზვერევი (ორივე — 31-ე სასწავლებელი) უძლიერესი აღმოჩნდა 100 მეტრზე დელფინის სტილით ცურვაში — 1.11,3. ამ დისტანციაზე მოასპარეზე გოგონებში ყველას აჯობა ზ. რემიზოვამ (თბილისის 23-ე სასწავლებელი) — 1.46,8, 100 მეტრზე ბრასით ცურვის ფინიშთან კი პირველი მივიდა მისი თანაგუნდელი ლილი ფიფია — 1.38,0. 23-ე სასწავლებლის გოგონებმა მოიგეს გუნდური ჩათვლაც. ჭაბუკებში პირველობა 31-ე სასწავლებელს ხვდა. საინტერესოა, რომ ჩემპიონმა გოგონებმა 564 ქულა მოაგროვეს, მეაამე პრიზიორმა, — ფოთის მე-12 სასწავლებლის მოცურავეებმა კი... 22 ქულა.

ჩათვლა ვერ მიიღეს ქუთაისის მე-4 და რუსთავის მე-17 სასწავლებლების გუნდებმა.

## როცა გვერდით გამოცდილი მწვრთნელი გყავს

აკრობატებს ბედმა გაუღიმა. მათ ისეთი გამოცდილი მწვრთნელები ხელმძღვანელობენ, როგორიც არიან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. ქელეხსაშვილი, სპორტის ოსტატები გ. მარგიშვილი, ა. სლივკოვი, საპატიო სპორტის ოსტატი ვ. ლიტვინოვი.

ხტომაში ყველას აჯობა ნ. ძუკაევმა (31-ე სასწავლებელი), რომელმაც 35,85 ქულა დააგროვა. ძალისმიერ წყვილებში დიდოსტატურად გამოვიდნენ ა. თედეევი და ვ. დულიბალტოვი, ისინი კი მხოლოდ მეოთხე თვეა ერთად ვარჯიშობენ. ბიჭებს წარმატების იმედი აქვთ სსრ კავშირის I ახალგაზრდულ თამაშებშიც, რომელიც კიევში ჩატარდება. აქ ისინი რესპუბლიკის ნაკრების სახელით გამოვლენ.

ჯგუფურ ვარჯიშებში კარგად გამოვიდა 31-ე სასწავლებლის ოთხეული: თ. ბუზიაშვილი, ტ. მღებრიშვილი, გ. ზაალიშვილი და ჯ. გოჩიტაშვილი. ისინი პირველად ასპარეზობდნენ სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით და 134,6 ქულა მოაგროვეს. ხტომაში გოგონებიდან ყველას აჯობა 15 წლის ა. კოჩიევამ (23-ე სასწავლებელი) — 36,65 ქულა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისის 27-ე სასწავლებლის აკრობატმა გოგონებმა. შარშანდელმა ჩემპიონებმა — 31-ე სასწავლებლის ჭაბუკებმა ტიტული არც ახლა დათმეს.

აკრობატთა გუნდებში გამოჩნდა პერსპექტიული ახალგაზრდობაც. ესენი არიან 13 წლის თბილისელი დალი იაშაღაშვილი, ა. ხაუსტოვა (23-ე სასწავლებელი). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამათაც და ყველა დანარჩენ აკრობატსაც ძალიან სჭირდებათ ბატუტი.

## ნაკლებ სასიხარულო...

მძლეოსნების შედეგები ნაკლებ სასიხარულო იყო. მაგალითად, ბადროს ტყორცნაში გამარჯვებულმა კ. მასლოვამ (მე-12 სასწავლებელი) აჩვენა... 18,24 მ; ტ. მიქაძემ (სამტრედიის 28-ე სასწავლებელი) შუბი 39,50 მეტრზე ტყორცნა. სხვათა შორის, იგი ერთადერთი იყო სექტორში. მარტოდმარტო მირბოდა სამ კილომეტრზე ვ. კანაშკინიც (მე-12 სასწავლებელი). მხოლოდ სამი მონაწილე ჩაება 200 მეტრზე რბენაში.

კარგად გამოვიდა მერი ჯამელაშვილი (27-ე სასწავლებელი), რომელმაც პირველად შეასრულა III თანრიგის ნორმატივი სიგრძეზე ხტომაში — 451 სმ.

ხუთჭიდი მოიგო ა. ბოგატირიოვამ (მე-12 სასწავლებელი) — 3128 ქულა. მისმა თანაგუნდელმა ლ. გერასიმენკომ ბირთვის კვრაში 8,80 მ აჩვენა.

მოწონება ხვდა მწვრთნელთა სკოლის კურსდამთავრებულს ლ. ვორონკოვას, რომელიც შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდა. მან შეასრულა II თანრიგის ნორმატივი სიმაღლეზე ხტომაში — 145 სმ. მძლეოსნობაში ვორონკოვა სულ 7 თვეა ვარჯიშობს ა. მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით, ისე კი მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენელია.

150 სმ. სიმაღლეზე მხტომელ ჭაბუკებში ამ შედეგით გაიმარჯვა ვ. ლაპახოვმა (მე-12 სასწავლებელი). რ. წიკლაურმა (მე-11 სასწავლებელი) მოიგო 800 მეტრზე რბენა — 2.11,5.

ჭაბუკებში გუნდური გამარჯვება მოიპოვეს მე-11 სასწავლებლის წარმომადგენლებმა, გოგონებში — მე-12 სასწავლებლის გუნდმა.

## ჩემპიონებსაც ასამართლებენ

ჩემპიონობისთვის ფრენბურთელ ქალთა 8 გუნდი იბრძოდა. მონაწილენი ორ ქვეჯგუფად გაყვეს. ფინალისტების ვინაობა იოლად გაირკვა: შარშანდელმა ჩემპიონებმა — 27-ე პროფტექნიკური სასწავლებლის ფრენბურთელებმაც და ქუთაისის 42-ე სასწავლებლის წარმომადგენლებმაც სამივე მატჩი „მშრალი" ანგარიშით (2:0) მოიგეს. ფინალი თითქოს საინტერესო უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. 15:2 დებიუტანტების სასარგებლოდ, — ასეთი იყო პირველი პარტიის შედეგი. მაშინ შარშანდელი ჩემპიონები დაფაცურდნენ და... ძაიძც წააგეს. საქმე ის არის, რომ გამარჯვებულებიც ძალიან უჟერულად, მოუხდომელად თამაშობდნენ. ძეიბედრის მთელი სიმძიმე მხრებზე დააწვა მხოლოდ დარეჯან თოფურიძეს, რომელიც ქუთაისის გუნდში დროებით „ითხოვა" საშუალო სკოლიდან (შეჯიბრების დებულებით ნებადართულია, რომ გუნდის წევრთა 15 პროცენტს სკოლის მოსწავლეები შეადგენდნენ).

ნუთუ „შრომით რეზერვებს" ასე უჭირთ გოგონათა ანსამბლის შექმნა? ქუთაისელთა სიძლიერის გუნდით საკავშირო სპარტაკიადაში საპრიზო ადგილზე გასვლა ერთობ საეჭვოა.

ჭაბუკ ფრენბურთელთა „ქვეჯგუფებში" უფრო კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. კარგად — მშვიდად და თანაბრად ითამაშეს ჩემპიონებმა, მე-11 პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენებმა: თბილისელებმა ანგარიშით (2:0) დაამარცხეს რუსთავის მე-16, თბილისის 32-ე, სამტრედიის 28-ე სასწავლებლის ფრენბურთელები, მოუგეს მე-4 სასწავლებლის გუნდსაც — 2:1.

## პირველმა ტურნირებმა იმედი გაგვიცრუა

სპარტაკიადაში პირველად აიღეს სტარტი მსროლელებმა და თანამედროვე სამჭიდის წარმომადგენლებმა. ორივე სახეობაში 12-12 მონაწილე გამოვიდა სარბიელზე. ფიზკულტურელთა 25-ათასიანი არმიისთვის ეს ციფრი, რა თქმა უნდა, სამარცხვინოა. სროლაში სულ ოთხმა შეასრულა II თანრიგის ნორმა. 50 მეტრზე მმ-ნ ვარჯიშში ჩემპიონობა მოიპოვა თბილისის მე-5 პროფტექნიკური სასწავლებლის წარმომადგენელმა რ. კაკიტელაშვილმა — 554 ქულა. 15 წლის ქუთაისელი ა. თევდორაძე (მე-4 სასწავლებელი) უძლიერესი იყო მმ-5 ვარჯიშში — 515 ქულა.

სამჭიდელებში ყველას აჯობა ა. ახალშენიშვილმა (მე-11 სასწავლებელი) — 3030 ქულა. 25 მეტრზე სროლაში (10 გასროლა მცირეკალიბრიანი შაშხანით) მან 96 ქულა დააგროვა, 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 1.11,5 აჩვენა, 800 მეტრზე რბენას კი 2.21,2 მოანდომა.

ჩემპიონმა ჭაბუკთა I თანრიგის ნორმა შეასრულა. იგივე შედეგს კიდევ 8 მონაწილემ მიაღწია.

ცუდად გამოვიდნენ მე-17 პროფტექნიკური სასწავლებლის სამჭიდელები, რომლებმაც 800 მეტრზე რბენას თავი აარიდეს.

გუნდური შეჯიბრება მოიგეს მე-11 პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენებმა. სროლაში ყველას აჯობეს თბილისის მე-5 სასწავლებლის წარმომადგენლებმა.

## უმოსავლო სტარტები

შარშან ერთბაშად ნიჩბოსანთა მთელმა ჯგუფმა შეასრულა I თანრიგის ნორმა. წლევანდელი სტარტები ასე მოსავლიანი როდი იყო. I თანრიგის შედეგით დაამთავრა შეჯიბრება მხოლოდ მ. ბერიშვილმა (მე-11 სასწავლებელი), რომელმაც 500-მეტრიან დისტანციაზე ერთადგილიანი ბაიდარით ასპარეზობაში 2.08,0 აჩვენა, შემდეგ კი მოიგო კილომეტრიანი დისტანცია — 4.35,6. 31-ე სასწავლებლის დუეტმა (ი. კარაბეინიკოვი და ა. შახნაზიდი) ყველას აჯობა ორადგილიანით 500 (1.56,2) და 1000 მეტრზე (4.09,1) შეჯიბრებაში.

ორი გამარჯვება მოიპოვა მე-11 სასწავლებლის წარმომადგენელმა გ. სილაგაძემ. აქაურმა ნიჩბოსნებმა გუნდური ბრძოლაც მოიგეს. გოგონებში გაიმარჯვეს 27-ე სასწავლებლის სპორტსმენებმა.

## სკოლების დახმარება

კალათბურთელთა და მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში 10-10 გუნდი ჩაება. მე-11 სასწავლებლის კალათბურთელმა ვაჟებმა ყველა მეტოქეს მოუგეს. მაგალითად, მათ გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხეს მე-17 სასწავლებლის გუნდი — 100:25. გოგონებში გამარჯვება 27-ე სასწავლებლის გუნდს ხვდა.

ნაკლები შთაბეჭდილება დატოვა მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებამ. 29 მონაწილეში მხოლოდ სამმა შეასრულა II თანრიგის ნორმა. როგორც ჩანს, სწორია მწვრთნელ გ. არუთინოვის აზრი: კარგი იქნება საშუალო სკოლებში მაგიდის ჩოგბურთის სექციები შეიქმნას და ბავშვებს IV კლასიდან ვასწავლოთ ეს თამაში.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს. ესენი არიან ჩემპიონთა გუნდის წარმომადგენელი ოთარ კალანდაძე (32-ე სასწავლებელი) და ქუთაისელი მოსწავლე ლიზა ცხვირაშვილი (37-ე სასწავლებელი).

გოგონებში უძლიერესნი იყვნენ 23-ე პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენები.

## კარგი ტრასა, საინტერესო ბრძოლა

ველოსიპედისტთა შეჯიბრება თბილისის ზღვაზე, ახალ 20-კილომეტრიან ტრასაზე გაიმართა. რბოლა საინტერესო იყო. 17 წლის თ. ბექაურმა (32-ე სასწავლებელი) მოიგო შეჯიბრება 20 (29.15) და 50 კილომეტრზე (1:14.0).

10 კილომეტრზე რბოლა გოგონებიდან პირველმა დაამთავრა რ. რუდომიოტკინამ (27-ე სასწავლებელი) — 18.50,7, 20 კილომეტრზე — ლ. აფაქიძემ (23-ე სასწავლებელი) — 35.37,3. გუნდური შეჯიბრება მოიგეს 32-ე სასწავლებლის ვაჟებმა და 27-ე სასწავლებლის გოგონებმა.

## ღირსნი არიან

ფინალური შეხვედრის დამთავრებამდე 4 წუთი რომ რჩებოდა, ლ. ვალიევმა ბურთი მშვიდად აართვა მცველს, ჯერ ის მოატყუა, შემდეგ მეკარე და აუღელვებლად გაიტანა გოლი. საერთოდ, 31-ე სასწავლებლის ფეხბურთელები ყველა მატჩში თავგამოდებით, ბოლო წუთამდე იბრძოდნენ. ასეთი იყო მათი ფინალური შეხვედრაც მე-4 სასწავლებლის გუნდთან. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 4:0. ისინი ღირსნი არიან ჩემპიონობისა.

* * *

სპარტაკიადა დამთავრდა. საპატიო თასები დაისაკუთრეს თბილისის გ. თოიძის სახელობის მე-11 სამხატვრო სასწავლებლის ჭაბუკებმა და 27-ე პროფტექნიკური სასწავლებლის გოგონებმა.

**ვ. ბუკინი.**

## ტექნიკუმელებს შორის

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების კალათბურთელთა ფინალური შეხვედრები სოხუმში, „განთიადის" სტადიონზე ჩატარდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ვაჟთა 24 და ქალთა 22 გუნდი.

ვაჟებში I ადგილი დაიკავეს ამბროლაურის წარმომადგენლებმა. II ადგილი წილად ხვდათ გორელ კალათბურთელებს, III — დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმელებს.

ქალთა შორის უძლიერესის სახელი დაისაკუთრა დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის გუნდმა. II-III ადგილები გაინაწილეს წულუკიძისა და ბაკურციხის წარმომადგენლებმა.

**შ. ჯალაღონია.**
**(ჩვენი კორ.).**

სოხუმი.

## მოსწავლეთა ხელით

საჰაერო-საბაგირო გზის სამი ფოლადის მაგისტრალი ერთდროულად სამ დაშორებულ პუნქტთან აკავშირებს მარგანეცის ქალაქს... ერთ-ერთს, ყველაზე გრძელ ტრასას, მდინარე ყვირილის მარცხენა ნაპირას ამართულ გორაკზე, მწვანეში ჩაფლულ მწყობრ არქიტექტურულ კომპლექსთან ავყავართ. ეს ჭიათურის მე-20 პროფტექნიკური სასწავლებელია.

აქ ყოველწლიურად ათობით ახალგაზრდა ეუფლება სახალხო მეურნეობისთვის საჭირო სხვადასხვა პროფესიას. ამ სასწავლებელში ფიზიკური კულტურაც დიდი პატივისცემით სარგებლობს.

...დილის 8 საათსა და 20 წუთზე 400-მდე მოსწავლე ხაზზე ეწყობა დილის გამამხნევებელი ვარჯიშის ჩასატარებლად. ვარჯიშს ხელმძღვანელობს ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი რ. ფერაძე.

სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის შესასვლელშივე ყურადღებას იქცევს გემოვნებით გაფორმებული ფოტოსტენდი „ფიზკულტურა და სპორტი". აქ კარგად მოუწყვიათ სპორტული კაბინეტიც.

სისტემატურმა მეცადინეობამ სათანადო ნაყოფი გამოიღო. ექსკავატორის მემანქანეთა სპეციალობის ჯგუფის კალათბურთელებმა და ფრენბურთელებმა სასწავლებლის ჩემპიონობა მოიპოვეს. მათ საქალაქო სპარტაკიადაშიც ისახელეს თავი — II საპრიზო ადგილები დაიკავეს.

მე-20 სასწავლებლის ხშირი სტუმრები არიან ქალაქის საშუალო სკოლების ფიზკულტურელები. მრეწველობის მომავალ სპეციალისტებს ახლახან მე-5 საშუალო სკოლის ფრენბურთელებთან და კალათბურთელებთან ჰქონდათ შეხვედრები და გაიმარჯვეს.

პირველი მოჭადრაკის სახელს ატარებს ჯ. ლომსაძე. მოშაშეთა შეჯიბრებაში ჭაბუკებთან ერთად ქალიშვილებიც წარმატებით იბრძოდნენ. გამარჯვებულმა ზინა ლუღუნიშვილმა 15 ქულა დააგროვა და ქულანახევრით ჩამოიტოვა ომარ ყაველაშვილი.

ხშირად ეწყობა ტურისტული ლაშქრობა-მოგზაურობანი.

სიყვარულით გვესაუბრებიან თავიანთ აღსაზრდელებზე სასწავლებლის დირექტორი ბ. წერეთელი, მისი მოადგილეები ვ. გაბრიჭიძე, გ. გოგოლიძე...

საამაყო მართლაც აქვთ. სულ ცოტა დროში მოსწავლეთა ხელით დამზადდა კალათბურთისა და ფრენბურთის ინვენტარი, აიგო ღია საცურაო აუზი, ეწყობა ჩოგბურთის კორტები...

**თ. შეყილაძე.**
**(ჩვენი კორ.).**

ჭიათურა.

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **ტანვარჯიშში** — ნ. პაპინაშვილს, ნ. ჯოჯუას (ორივე — თბილისის „დინამო"), მ. სომხიშვილს, ვ. სტრელცოვას, ვ. ივანოვას (სამივე — თბილისის „შრომითი რეზერვები"); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ვ. კუძიევს (გორის „განთიადი"); **ცურვაში** — მ. ყულიჯანოვას, ვ. სნიმშჩიკოვს, ვ. ბახს (სამივე — თბილისის „დინამო"); **კრივში** — მ. გიორგაძეს (ქუთაისის „შრომითი რეზერვები"); **ფარიკაობაში** — ლ. ადეიშვილს (ქუთაისის „დინამო"), ტ. ნოზაძეს (რუსთავი, განათლების განყოფილება); **ფრენბურთში** — ზ. კერესელიძეს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **შაშში** — ზ. შალამბერიძეს (ქუთაისის „განთიადი"); **სახანძრო-გამოყენებით სპორტში** — ნ. კოხრეიძეს (ქუთაისის „დინამო").

* * *

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **ჩოგბურთში** — ო. ქარხალაშვილს, გ. ღარიბაშვილს (ორივე — თბილისი); **სასტენდო სროლაში** — ა. პუჩინიანს (ბათუმი); **ფარიკაობაში** — ჯ. კვანტალიანს, ა. ბობოხიძეს (ორივე — ქუთაისი); **ჭიდაობაში** — ა. ქავთარაძეს (ბათუმი), ე. თვალჭრელიძეს (თბილისი).

## ტელეგრამის სტრიქონები

### სოხუმი

აქ დამთავრდა აფხაზეთის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი. I ადგილი მოიპოვა სოხუმელმა ო. იახოპულომ (6,5 ქულა).

**შ. შოთაძე.**

### თელავი

ამ დღეებში აქ გაიმართა „კოლმეურნის" ფრენბურთელ ქალთა რაიონული შეჯიბრება. კარგად იასპარეზეს სოფელ ფშაველის წარმომადგენლებმა, რომლებმაც დამსახურებულად მოიპოვეს პირველობა.

**ზ. ჯაჯვაძე.**

### ახმეტა

გაიმართა „კოლმეურნის" რაიონული პირველობა ფრენბურთში. შეჯიბრებაში 6 გუნდი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავეს ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდნენ ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენები, III— ხოდაშნის კოლმეურნეობის გუნდი.

**შ. ნათელაური.**

### ონი

დამთავრდა ნორჩ ფეხბურთელთა გუნდების ტურნირი „ტყავის ბურთის პრიზზე". გამარჯვება წილად ხვდა სტალინის ქუჩის გუნდს „იალბუზს".

**ლ. ბერიშვილი.**

### ზუგდიდი

სოფელ ჭკადუაშის საშუალო სკოლის მოსწავლე-სპორტსმენთა განკარგულებაშია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მარტივი ტიპის მოედნები, ჩამოყალიბებულია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის, მძლეოსნობის, ჭადრაკის, შაშისა და მაგიდის ჩოგბურთის სექციები. სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის თაოსნობით ხშირად ეწყობა ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები. ახლახან მოეწყო ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ჭკადუაში — ჯვარზენი.

**ბ. ალშიბაია.**

### ასპინძა

აქ გაიმართა რაიონის პირველობა ფრენბურთში. ასპარეზობდნენ ვაჟები. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა სოფელ ორგორის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა. II ადგილი დაიკავეს „კოლმეურნის" ნაკრების ფრენბურთელებმა, III — ასპინძის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

**ვ. ცინაძე.**

### ოჩამჩირე

„კოლმეურნის" ფრენბურთელთა რაიონულ პირველობაში 7 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ჯგერდის კოლმეურნეობის ნაკრები გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ჯგერდელებმა — 3:2.

**რ. ჭედია.**

### საჩხერე

ჩატარდა ჭაბუკ ფრენბურთელთა რაიონული ტურნირი, რომელიც მიეძღვნა კომკავშირის 50 წლისთავს. შეჯიბრების მონაწილე 12 კოლექტივში ყველას აჯობა ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის გუნდმა. II ადგილი წილად ხვდათ ჩიხის, III — არგვეთის საშუალო სკოლის ფრენბურთელებს.

**ა. ანასაშვილი.**

## ფეხბურთი-68

### სსრ კავშირის პირველობა

# „მეტალურგი" ასწორებს მდგომარეობას

ეტყობა, რუსთავის „მეტალურგის" ფეხბურთელებმა სათანადო დასკვნა გამოიტანეს წინა ტურში მეტისმეტად უხეიროდ ჩატარებული მატჩიდან. ასეა თუ ისე, ბელგოროდის „სპარტაკის" წინაალმდეგ, რომელიც გათამაშების ცხრილში IV ადგილზე იმყოფებოდა, მასპინძლებმა ადრინდელთან შედარებით გაცილებით უკეთესად ითამაშეს. წარმატება მოპოვებულ იქნა პირველივე წუთებზე, როცა კონიაშვილმა თავით გაიტანა ბურთი — 1:0.

აქტიურად თამაშობდნენ მასპინძლები დარჩენილ დროშიც. 52-ე წუთზე ჭანტურიას ჰქონდა ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა, მაგრამ მან სუსტად დაარტყა და საშუალება მისცა „სპარტაკის" მეკარეს მოეგერიებინა ბურთი.

სტუმრებმა მატჩის დასასრულს გამოასწორეს მდგომარეობა და რამდენიმე ძლიერი შეტევაც განახორციელეს. მძიმე მდგომარეობაში იხსნა გუნდი მცველმა შომახიამ, ხოლო შემდეგ მეკარე ჩლაიძემ ძნელი ბურთი აიღო პირისპირ დარჩენილი ბურაკისგან.

მიუხედავად სპარტაკელთა მრავალი ცდისა, „მეტალურგმა" შეინარჩუნა გამარჯვება.

**რ. გაბრიჩიძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
რუსთავი.

## ერთპიროვნული ლიდერის როლში

გორის სპორტული საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს თავისი გუნდის — „დილის" გამოსვლების მიმართ საკავშირო პირველობაზე. და უნდა ითქვას, ვალში არც ფეხბურთელები რჩებიან: ისინი ყოველ კალენდარულ შეხვედრას მთელ თავიანთ ძალღონეს აქსოვენ და კარგი შედეგებიც აქვთ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „დილისთვის" 1 ივლისის მატჩს კურსკის „შრომით რეზერვებთან". ორივე მოწინააღმდეგეს ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდა, მაგრამ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით ცხრილის უმაღლეს საფეხურზე კურსკის გუნდი იმყოფებოდა.

ეს პრინციპული თამაში მასპინძელთა სრული ტერიტორიული უპირატესობით დაიწყო. გორელთა პირველივე შეტევებისას თამაშში ჩაება „შრომითი რეზერვების" მეკარე ბურცევი, ხოლო მე-10 წუთზე გუნდი ძელმა იხსნა.

30-ე წუთზე კურსკელები აშკარა გოლს გადაურჩნენ. ბურჯანაძემ შეძლო რამდენიმე მცველის მოტყუება და მეკარეც ზურგს უკან მოიტოვა. ბოლო წამს მცველებმა მაინც მიუსწრეს ცარიელ კარში დარტყმულ ბურთს.

ანგარიში გაიხსნა 53-ე წუთზე. ნასყიდაშვილი სწრაფად გავიდა გარღვევაზე და დაარტყა კარში. ბურცევის მოგერიებული ბურთი მოხვდა ბურჯანაძესთან და ამ უკანასკნელის დარტყმის შემდეგ გავიდა კარში — 1:0.

ამ გოლმა „დილას" უაღრესად საჭირო გამარჯვება მოუტანა.

**გ. გოგალიშვილი.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
გორი.

### „ა" კლასი, II ჯგუფი

## ბათუმელები — მოწოდების სიმაღლეზე

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 1 ივლისი.

„დინამო" (ბათუმი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 3:0 (2:0).

„დინამო": კვახაძე, დიმანოვი, ქორიძე, სირბილაძე, ჩხაიძე, ილურიძე, ხაბიბულინი, კვიტაიშვილი, გიორგაძე, ოვანესიანი, ვერულიძე.

„ტრაქტორი": კრივოვი, სეროსტიანოვი, ვტიურინი, დერგაჩი, კოლოპულო, ჯანშიევი, სერგინიევი, დირენკო, გოლოვკო, კირილოვი, დოლენკო (პოგორელოვი).

მსაჯი ს. ცალკინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 3:2 „დინამოს" სასარგებლოდ.

ბათუმის „დინამოს" წარმატებით გამოსვლაზე წლევანდელ გათამაშებაში არაერთხელ გვილაპარაკია. ამჯერად დინამოელებს ძალიან საპასუხისმგებლო თამაში ჰქონდათ ქვეჯგუფის ერთ-ერთ ლიდერთან — ვოლგოგრადის „ტრაქტორთან" და ამიტომ ეს მატჩი გარკვეულ გამოცდას წარმოადგენდა მათთვის.

პირდაპირ უნდა ვთქვათ: ეს გამოცდა მასპინძლებმა შესანიშნავად ჩააბარეს. გუნდის ყველა რგოლი, თვითეული მოთამაშე იბრძოდა სრული მონდომებით, მობილიზებულად, კოლექტიურად და გამარჯვებაც ღირსეულად იქნა მოპოვებული.

მართალია, კვახაძეს დასაწყისში მოუხდა მეტად ძნელი ბურთის აღება, მაგრამ თამაში პირველივე წუთებიდან ბათუმელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა. „ტრაქტორმა" ღრმა ზურგში დაწია ნახევარმცველები და, მიუხედავად ამისა, მის კართან ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები.

ანგარიში გაიხსნა მე-17 წუთზე. სტუმრების კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა დაახლოებით 27 მეტრიდან. გიორგაძემ მოძებნა გზა მცველების მიერ აღმართულ კედელში და... 1:0.

დინამოელები განუწყვეტლივ განაგრძობდნენ იერიშებს. 35-ე წუთზე ოვანესიანი კარგად გავიდა რამდენიმე მცველს შორის, პირისპირ დარჩა მეკარესთან და ანგარიში გაზარდა.

„ტრაქტორმა" მდგომარეობის გამოსწორება სცადა მეორე ტაიმის დასაწყისში. ერთ-ერთ მომენტში კვახაძეს კვლავ მოუხდა ძნელი ბურთის აღება ჯანშიევისგან, მაგრამ სტუმრების კონტრიერიშები ამით ამოიწურა. ბათუმელები ხელახლა გადავიდნენ იერიშზე და კრივოვს კვლავ მძიმე დატვირთვა დააწვა.

რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ (მაგალითად, ხაბიბულინის ბურთი ძელს მოხვდა), მასპინძლებმა კიდევ ერთხელ შეძლეს მეტოქის კარის აღება. ილურიძის დარტყმა მოიგერია კრივოვმა, ბურთს მიუსწრო გიორგაძემ და ანგარიში 3:0-მდე „დაამრგვალა".

**ო. მურვანიძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### „ბ" კლასი

## რსფსრ-ს IV ზონა გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 16 | 9 | 6 | 1 | 27—9 | 24 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 16 | 9 | 5 | 2 | 16—10 | 23 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 16 | 7 | 7 | 2 | 22—10 | 21 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 17 | 8 | 3 | 6 | 26—19 | 19 |
| „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) | 16 | 6 | 7 | 3 | 20—11 | 19 |
| „არაქსი" (ეჩმიაძინი) | 16 | 9 | 1 | 6 | 18—15 | 19 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 16 | 7 | 4 | 5 | 19—13 | 18 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 16 | 6 | 6 | 4 | 18—15 | 18 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 16 | 4 | 9 | 3 | 17—14 | 17 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 17 | 6 | 5 | 6 | 20—27 | 17 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 16 | 7 | 2 | 7 | 22—13 | 16 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 16 | 5 | 6 | 5 | 18—18 | 16 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 16 | 7 | 2 | 7 | 19—28 | 16 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 17 | 5 | 6 | 6 | 11—20 | 16 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 16 | 5 | 5 | 6 | 14—17 | 15 |
| „დინამო" (სოხუმი) | 16 | 6 | 2 | 8 | 19—18 | 14 |
| „ირისტონი" (მოზდოკი) | 16 | 5 | 3 | 8 | 17—18 | 13 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 16 | 3 | 5 | 8 | 7—18 | 11 |
| „ტრუდი" (კასპიისკი) | 16 | 3 | 4 | 9 | 12—23 | 10 |
| „უროჟაი" (გროზნო) | 16 | 3 | 4 | 9 | 13—25 | 10 |
| „კახეთი" (თელავი) | 15 | 1 | 4 | 10 | 6—24 | 6 |

## რა მოსდის „ლოკომოტივს"?

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 1 ივლისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „რუბინი" (ყაზანი) 0:1 (0:0).

„ლოკომოტივი": ბერიძე, პანოვი, ონიანი, ფრიდმანი, მირიანაშვილი, გვასალია, ჭელიძე, მაზიაშვილი, მიქაშავიძე (მესხაძე), ჭეიშვილი, მელიქიძე.

„რუბინი": ლუკოვიჩი, კლიმანოვი, ზაიცევი, ვლასოვი, მარკოვი, საველიევი, მინიბაევი, კრასნოვი, ვორობიოვი (ფაიზულინი), მარამიგინი, ზადიკაშვილი.

მსაჯი გ. შირინიანი (ერევანი).

დუბლიორები — 4:0 „რუბინის" სასარგებლოდ.

თბილისის „ლოკომოტივის" წინა თამაშის რეცენზიაში ჩვენ აღვნიშნავდით, რომ გუნდის არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობის მთავარი მიზეზია მეტოქეთა მინდვრებზე ძალზე ცუდად ჩატარებული მატჩების შედეგები. ახლა, სამწუხაროდ, ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ლოკომოტიველებმა საკუთარ სტადიონზე დაიწყეს წაგება და ამით ერთგვარად „გაასწორეს" თავიანთი პასივის შემადგენელი ნაწილები.

საწყენია, რომ „ლოკომოტივის" ახალგაზრდა ფეხბურთელები როგორც საჭიროა ვერ ავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს. უყურებ მათ თამაშს და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს, გუნდი არ იბრძვის მთელი მონდომებითა და ენერგიით, თითქოს, მას არა აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა იმ მაყურებლის წინაშე, რომელიც სეზონის დასაწყისში ასე სიმპათიურად იყო განწყობილი რკინიგზელთა კოლექტივის მიმართ.

თბილისელებმა ინიციატივა თავიდანვე დაუთმეს „რუბინს". სტუმრებმა იგრძნეს ინერტულობა მეტოქის თამაშში და დაახლოებით 20-25 წუთის განმავლობაში არ შეუწყვეტიათ იერიშები. მხოლოდ ტაიმის დასასრულს გამოსწორდა მდგომარეობა და ბურთმა ყაზანელთა ნახევარზე გადაინაცვლა, მაგრამ „ლოკომოტივის" თავდასხმა მცირე ძალებით აწარმოებდა შეტევას, მაზიაშვილი, მიქაშავიძე და მელიქიძე მოწყვეტილი იყვნენ ნახევარმცველებს და არც ერთმანეთთან ჰქონდათ საჭირო კავშირი. ამის შედეგი იყო ის, რომ თვითეულ მათგანს 2-3 მცველის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა, რაც მუდამ დაკარგული ბურთით მთავრდებოდა.

ვერც დაცვა იდგა მოწოდების სიმაღლეზე და ერთადერთი გაშვებული გოლიც მთლიანად მისი შეცდომის შედეგია. „რუბინის" მიერ მარჯვენა ფლანგზე წარმოებული შეტევისას მირიანაშვილმა უხეშად ითამაშა. საჯარიმო დარტყმის გათამაშებისას კარის სიახლოვეს უყურადღებოდ იქნა დატოვებული მარამიგინი, რომელმაც ზუსტად გაგზავნა ბურთი კარის დაბალ კუთხეში. ბერიძის ნახტომი ამაო გამოდგა.

**რ. ქორიძე.**

# ფეხბურთმა ამირჩია მე

### მურთაზ ხურცილავას ინტერვიუ

● **რა აზრისა ხართ იღბალზე?**

— ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან ხშირად ვხმარობ ამ სიტყვას — იღბალი. თუ იგი წარმატებას გულისხმობს, მაშინ იღბლიანი ვყოფილვარ. საერთოდ კი, სპორტში იღბალი მხოლოდ უძლიერესთა წილხვედრია. წარმატებას მიაღწევს მხოლოდ სპორტსმენი, რომელიც ცხადად ხედავს თავის მიზანს და ჯიუტად მუშაობს.

● **ისურვებდით თვრამეტი წლის დაბრუნებას? რომელი პროფესიისა გშურთ?**

— ჯერ ერთი, თვრამეტი წლისა არც ისე დიდი ხნის წინ ვიყავი. მეორეც, მე არაფერზე მწყდება გული. ფეხბურთი ჩემი მოწოდებაა, ჩემი ვნება, თუ გნებავთ. რაც შეეხება პროფესიას, ალბათ, ექიმებისა შემშურდებოდა. მე ბევრჯერ მქონია მათთან საქმე და დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროფესია ყველაზე ადამიანურია.

● **რა გარემოებებმა და როგორმა ხალხმა მოახდინა თქვენს არჩევანზე გავლენა? როგორ გახდით სპორტსმენი? თქვენი აზრით, რომდემდე შეიძლება არჩევანი გაგრძელდეს?**

— განსაკუთრებული გარემოებები არ მახსოვს. მუდამ მიყვარდა ფეხბურთი, ვუსმენდი ფეხბურთის რეპორტაჟებს, მშურდა ფეხბურთელებისა და ყველას ვეუბნებოდი, ფეხბურთელი გამოვალ-მეთქი. რაიონული შეჯიბრებების შემდეგ მწვრთნელებმა ა. ჟორდანიამ და დ. ცომაიამ თბილისის „დინამოში" მიმიწვიეს.

არჩევით მხოლოდ ერთხელ ავირჩიე, თუმცა იქნებ ფეხბურთმა ამირჩია მე. თუ ადამიანს გული რაიმესკენ მიუწევს, ეს სამუდამო გატაცება უნდა იყოს.

● **რა როლი შეასრულა ექიმმა თქვენს ცხოვრებაში?**

— ჩემი აზრით, ექიმი სუსტთა ხვედრია. მთავარში მე არასოდეს დავეჭვებულვარ.

● **როგორ გგონიათ, როდის იწყებს გამოკვეთას ადამიანი, როგორც დამოუკიდებელი პიროვნება?**

— როცა ცხოვრებაში პირველად გამოიჩენს პრინციპულობას და სიმტკიცეს. გულახდილად რომ გითხრათ, ახლობლებს არ უნდოდათ ფეხბურთელი ვყოფილიყავი. არ ვიცი, როგორ წავიდოდა საქმე, მაშინ მათთვის რომ დამეჯერებინა. 1961 წელს თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში პირველად გამოვედი მოსკოვის თანაკლუბელებთან მატჩში. ამ მატჩს პრინციპული ხასიათი არ ჰქონდა. მაგრამ ჩემთვის იგი ყველაზე საპასუხისმგებლო იყო. მე მზად ვიყავ მინდორზე მოვმკვდარიყავ და კარგად მეთამაშა — ამაზე ხომ ჩემი მომავალი იყო დამოკიდებული.

● **რა ზნეობრივი თვისებები უნდა ჰქონდეს ცხოვრებაში შემსვლელ ადამიანს?**

— ყველა, რაც კი ნამდვილ ადამიანად გვაქცევს. მაგრამ ადამიანში მე ყველაზე მეტად წესიერებას და მოკრძალებას ვაფასებ. ცხოვრებაში რომ ფეხს შედგამს, ადამიანი მიზანდასახული უნდა იყოს და თავის პრინციპებს გვერდი არასოდეს აუხვიოს.

● **როგორი ადამიანი გესახებათ იდეალად, გმირად, ნიმუშად?**

— ცხოვრებაში გაგარინი. სპორტში — იაშინი და ლოლობერიძე.

● **როგორ გესახებათ ბედნიერება?**

— მე სამი წლის გოგონა მყავს — ზარინე. ახლა ვაჟზე ვოცნებობ. ბიჭს მურთაზს დავარქმევ (თუ ცოლი წინააღმდეგი არ იქნა). და, რა თქმა უნდა, მსურს დიდხანს ვითამაშო ფეხბურთი. ბედნიერებაა გიყვარდეს და იცოდე, რომ უყვარხართ. ეს კი უკვე იმას გულისხმობს, რასაც ორი სიტყვით ვერ იტყვი.

(„კომსომოლსკაია პრავდა", 30 ივნისი).

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: მ. ხურცილავა თამაშის დროს.

ფოტო ა. სააკოვისა.

### სხვა ამბები

● **სტამბოლი, 1 ივლისი.** 7 ეტაპის შემდეგ რუსეთის ფედერაციის ველოსიპედისტთა გუნდი კვლავინდებურად ლიდერობს მრავალდღიან ველორბოლაში — „თურქეთის ტურში". II ადგილზე არიან ჰოლანდიელები, რომლებიც მეწინავეებს თითქმის მთელი საათით ჩამორჩებიან. რბოლის ლიდერის მაისურშია გორკელი ა. კულიბინი, რომელმაც ეს საპატიო წოდება VI ეტაპის შემდეგ მოიპოვა. რბოლის დისტანციის ნახევარი — 992 კმ მან 26 საათში, 41 წუთსა და 11 წამში დაფარა.

● მოსკოვი, 1 ივლისი. სადგურ პლანიორნაიას მიდამოებში გაიხსნა საერთაშორისო მატჩი თანამედროვე ხუთჭიდში. პირველი სახეობის შემდეგ დაწინაურდა ვ. კორმუშკინი (რსფსრ), რომელმაც 1070 ქულით მოიგო ცხენოსნური კროსი. ამ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობენ ავსტრალიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, ფინეთის, შვეციის, აგრეთვე, ჩვენი მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსმენები. გუნდურ ჩათვლაში პირველი დღის შემდეგ წინ არიან შვეციის წარმომადგენლები.

# რინგის მომავალი ოსტატი

ერთი ხმელ-ხმელი ბიჭია, თანატოლებისგან ვერაფრით გამოარჩევ. ერთი შეხედვით ვერც იმას იტყვი, სპორტსმენიაო. მაგრამ შოთა კვირაია მომავალი ოსტატია, რინგის ოსტატი.

ბავშვობაში ასე იყო: ტყავის ხელთათმნის ოსტატთა სამყაროში სიახლე არ გამოეპარებოდა. თვალს არ აშორებდა ცისფერ ეკრანს, როცა მოკრივეთა ბრძოლებს უჩვენებდნენ. ერთმა შემთხვევამ საბოლოოდ განსაზღვრა მისი მომავალი სპორტული გზა: იმ დღეს ბერლინიდან ევროპის ჩემპიონატის მონაწილე მოკრივეების შეხვედრებს გადმოსცემდნენ ტელევიზიით. დაძაბული ბრძოლა გვიან ღამემდე გაგრძელდა. მეორე დღეს შოთამ მეზობლის ბიჭებთან ერთად დიდი წვალებით ხელთათმანები გააკეთა და თვითონ, უხელმძღვანელოდ და უმეთვალყუროდ დაიწყო ვარჯიში. მშობლებმა კატეგორიულად მოთხოვეს, ამ გატაცებაზე ხელი აეღო, მაგრამ ახლა მათგან ფარულად განაგრძო მეცადინეობა.

გადიოდა დრო. ახალბედა მოკრივე მიხვდა, რომ გამოცდილი მწვრთნელის დაუხმარებლად შორს ვერ წავიდოდა, ცხაკაიაში კი კრივის სექცია არ არსებობდა.

ნათქვამია, გული გულობდესო... შოთამაც მონახა გამოსავალი: მშობლების ჩუმად ფოთს ჩავიდა და მწვრთნელ ლ. თავაძეს მიაკითხა. შოთა ნორჩ მოკრივეთა წრეში ჩარიცხეს.

სიყვარულმა, მონდომებამ და შეუპოვარმა ვარჯიშმა მალე გამოიღო ნაყოფი. მწვრთნელმა ახალბედაში კარგი მომავლის მქონე სპორტსმენი დაინახა. მალე შოთამ თანატოლებში საუკეთესო მოკრივის სახელი მოიპოვა. მისი პირველი ნათლობა რინგის თეთრ კვადრატში შარშან მოხდა ფოთის მოსწავლეთა პირად პირველობაზე, როცა შეჯიბრების არბიტრმა მ. ბერიევმა მესამე ხარისხის სიგელი გადასცა.

ბათუმს კრივის კარგი ტრადიციები აქვს. ამიტომაც იყო, რომ წლეულს თებერვალში „განთიადის“ პირად პირველობაში საასპარეზოდ საქართველოს უძლიერესი ჭაბუკი სპორტსმენები აჭარის დედაქალაქს ეწვივნენ. დარბაზი გულშემატკივრებს ძლივს იტევდა, წყვილები წყვილებს ცვლიდნენ. და აი, რინგზე გამოვიდა შოთა კვირაია. მწვრთნელი ყურადღებით ადევნებდა თვალს ფინალურ ბრძოლას. მეორე რაუნდში შოთამ ძლიერი გვერდითი დარტყმით იატაკზე დასცა მეტოქე. პირველი სერიოზული გამარჯვება აღსაზრდელს ლ. თავაძემ მიულოცა.

ამის შემდეგ შ. კვირაიამ აჭარის მოსწავლეთა [illegible] ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. ამ ტურნირში მან ორმაგი გამარჯვება იზეიმა: I ადგილი დაიკავა და მიიღო სპეციალური პრიზი, როგორც ასპარეზობის ყველაზე ტექნიკურმა მოკრივემ.

ახლა 17 წლის მოსწავლე სპორტსმენი ძველებურად მშობლების ჩუმად როდი დადის ფოთში მწვრთნელთან. ხშირად მას დარბაზისკენ ამაყად მიაცილებს მამა, რომელიც ერთ დროს ასე „ცუდი თვალით“ უყურებდა კრივს.

**ე. ქელბაქიანი,**
**საქართველოს სსრ კრივის ფედერაციის აგიტაცია-პროპაგანდის სექციის თავმჯდომარე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ქარვის ნიჩაბი“ — უძლიერესებს

**ტრაკაი** (ლიტვის სსრ), 1 ივლისი. ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და სსრ კავშირის 400-მდე ნიჩბოსანი მონაწილეობდა ამ საკურორტო ქალაქში „ქარვის ნიჩბის“ პრიზზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. აკადემიურ ნიჩბოსანთა VII ტრადიციული რეგატა, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა, ორ დღეს გაგრძელდა.

მიუხედავად დიდი ტალღებისა და ძლიერი ქარისა, რომლის მაგავსი ამ ადგილების უხუცეს მკვიდრთაც არ ახსოვთ, შეჯიბრება ტბაზე საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა.

მესაჭიანი ოთხადგილიანებით რბოლაში გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონმა — ნოვგოროდის „სპარტაკმა“. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ „ქარვის ნიჩაბი“ გადაეცათ ბულგარეთის სპორტსმენებსაც, რომლებმაც ოთხადგილიანი წყვილ-მოასმელიანით შეჯიბრება მოიგეს. განსაკუთრებით დაძაბული იყო ბრძოლა რვიანებით. ფინიშთან პირველი მივიდა ევროპის სამგზის ჩემპიონი — ლიტვის სპორტსმენ ქალთა ოქტეტი.

პოლონეთის ნაკრების წევრებმა — წინა ოლიმპიადის მონაწილეებმა ე. ბრონეცმა და ა. შლუსარსკიმ უმესაჭო ორიანებით ფინალურ რბოლაში აჯობეს ლენინგრადისა და კიევის „ბურევესტნიკს“, ტირასპოლის „მოლდოვას“, ბულგარეთისა და ლატვიის გუნდებს. სამაგიეროდ, პოლონეთის ნაკრების წევრს ზ. ბრომეკს ერთიანებით ტურნირში მხოლოდ II ადგილი ხვდა. იგი იძულებული გახდა გამარჯვება ტრაკაიელი ნიჩბოსნისთვის, ლიტვის ჩემპიონ ვ. სოკოლოვსკისთვის დაეთმო.

მოსკოველებმა ნ. საფრონოვმა და ლ. რაკოვშჩიკმა, რომელთაც მესაჭედ ი. სერგეევი ჰყავდათ, ფინალში ყველა მეტოქეს სძლიეს. უმესაჭო ოთხიანებით რბოლაშიც გაიმარჯვეს მოსკოველმა სპორტსმენებმა, რომელთაც თითქმის 3 წამით მოუგეს ჩეხოსლოვაკიის კვარტეტს და ექვსით — პოლონეთისას.



საკდესის ფოტოქრონიკაში გაიხსნა ვ. შანდრინის ნამუშევრების გამოფენა. მისი შემოქმედების მთავარი თემა სპორტია. აი, მისი ერთ-ერთი ნამუშევარი: „მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი მ. ვორონინი“. („პრავდა“).

## კლარკი ევროპაში გადადის

**სტოკჰოლმი,** 2 ივლისი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, სახელგანთქმულმა ავსტრალიელმა მორბენალმა, მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენმა რ. კლარკმა მიატოვა თავისი სამუშაო, სახლი გაყიდა და ევროპას გაემგზავრა.

კლარკი დღეს სტოკჰოლმის საერთაშორისო მძლეოსნურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. მან კორესპონდენტებს უთხრა, ბინა იმიტომ გამოვიცვალე, რომ საქმემ ასე მოითხოვა, ამასთან, მინდა მექსიკის ოლიმპიური სტარტების წინ საუკეთესო ფორმას მივაღწიოო.

„ოჯახით დავსახლდები მაღალმთიანი ფრანგული ოლიმპიური ბანაკის ფონ-რომეს რაიონში, სადაც იდეალური პირობებია მექსიკაში საასპარეზოდ მზადებისთვის, — განაცხადა კლარკმა. — ამასთან, ევროპაში ყოფნას საქმიანი კონტაქტების განსამტკიცებლად და მოსაგვარებლადაც გამოვიყენებ. განზრახული მაქვს სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობის წარმოებას მოვკიდო ხელი. სახლი იმიტომ გავყიდე, რომ ბიზნესისთვის საჭირო ფულს მომატებოდა“.

30 წლის კლარკი ფიქრობს, რომ მის სტატუსს — სპორტსმენ-მოყვარულის სტატუსს საფრთხე არ ემუქრება.

„მთავრობათა უმეტესობა მხარს უჭერს თავის ათლეტებს. მე ეს მგზავრობა ცოტა როდი დამიჯდა და არ ვიცი, რატომ უნდა ავნოს ამან ჩემს სტატუსს“, — ამბობს იგი.

მექსიკის ოლიმპიადის დამთავრებისთანავე კლარკი ოჯახით მელბურნში დაბრუნდება.

### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## ინგლისელთა წინადადება

ევროპის ჩემპიონატში III ადგილის დაკავებამ ინგლისის საფეხბურთო წრეებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ზოგ მიმომხილველს მიაჩნია, რომ „ნაკრების მექანიზმში რაღაც მოიშალა“.

სწორედ ამ უკმაყოფილებას უკავშირებენ მიმომხილველები ნაკრების ხელმძღვანელ ა. რამსეის ახალ „სვლას“. მან თავისებურ „დუელში“ გამოიწვია ევროპის ახალი ჩემპიონი — იტალია. ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალური ბარათი გაუგზავნა იტალიელებს, სადაც წინადადებას იძლევა მოეწყოს ამ ორი ქვეყნის ნაკრები გუნდების 2 შეხვედრა: პირველი წლეულს 6 ნოემბერს ლონდონში, ხოლო მეორე გაისად მარტში იტალიის ერთ-ერთ სტადიონზე.

მოელიან, რომ იტალიელები მიიღებენ ამ წინადადებას.

## უ. ზეელერის განცხადება

გფრ-ის ნაკრების ცენტრფორვარდმა, მსოფლიოს 3 ჩემპიონატის მონაწილემ უ. ზეელერმა ოფიციალურად განაცხადა, რომ აღარ გამოვა ნაკრებში. ამას ზეელერი თავისი ხანდაზმულობით (იგი 31 წლისაა) და სპორტული ფორმის დაქვეითებით ხსნის. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ეს პოპულარული ფეხბურთელი თავისი ქვეყნის ნაკრებში 12 სეზონის მანძილზე გამოდიოდა.

— ჩემი გადაწყვეტილება ფეხბურთის თავის დანებებას როდი ნიშნავს, — თქვა ზეელერმა. — კვლავ გამოვალ „ჰამბურგერ შპორტფერაინში“. აქ ახალგაზრდა ფეხბურთელების მხარდამხარ მომიხდება თამაში! მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მათ კიდევ გამოადგებათ ჩემი გამოცდილება.

## არნახული „კრივი“ გალდადში

ნატოს ქვეყნების ერთ-ერთი სპორტული ღონისძიება, ე. წ. „მსოფლიო ჩემპიონატი სამხედრო გუნდებს შორის“ დამთავრდა სკანდალური მატჩით ბაღდადის სტადიონზე. აქ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საბერძნეთისა და თურქეთის გუნდები. 30 ათასი მაყურებლის წინაშე მეტოქეები უფრო კრივის ილეთებს იყენებდნენ, ვიდრე ფეხბურთისას. მეტოქეთა გაუთავებელ შეხლა-შემოხლას მსაჯმა ბოლო ვერ მოუღო. 75-ე წუთზე, როცა ანგარიში 4:1 იყო ბერძნების სასარგებლოდ, თამაში შეწყდა.

## ვ. ლიუბანსკი — პირველი სნაიპერი

პოლონეთის საფეხბურთო ჩემპიონატში კვლავ ისახელა თავი „გურნიკის“ (ზაბჟე) ახალგაზრდა თავდამსხმელმა ვ. ლიუბანსკიმ. მან 24 გოლი გაიტანა და მოიპოვა ჩემპიონატის პირველი სნაიპერის ჯილდო.

## ლიდჰოლმმა თავი ისახელა

გამოჩენილი შვედი ფეხბურთელი ნ. ლიდჰოლმი წლების განმავლობაში ედგა სათავეში „მილანის“ ჭაბუკთა გუნდს, სადაც ბევრი საუკეთესო ოსტატი აღზარდა. ადრე იგი „მილანის“ პირველი მწვრთნელიც იყო, მაგრამ მძიმე ავადმყოფობამ — სიყვითლემ კარგა ხნით გამოიყვანა მწყობრიდან.

ამ დღეებში ლიდჰოლმმა კიდევ ერთხელ მიიპყრო ყურადღება. „ვერონამ“, რომელსაც იგი ამ უკანასკნელ სეზონში ხელმძღვანელობდა, I ლიგაში გამოსვლის უფლება მოიპოვა. ლიდჰოლმმა არ მიმართა იტალიაში გავრცელებულ პრინციპს — სხვა გუნდებიდან ვარსკვლავების მოწვევას და „ვერონაში“ ადგილობრივი ფეხბურთელები აღზარდა.

### მოკლედ

- **ლონდონი.** ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა განაცხადა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მოკლე ხანში უნდა განიხილოს პროექტი ახალი შეჯიბრებისა: ესაა მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. აქ ითამაშებენ 21-24 წლის ფეხბურთელები.
- **მილანი.** „მილანის“ დირექტორატმა ოფიციალურად განაცხადა, რომ გუნდი ხელს იღებს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მორიგ გათამაშებაში მონაწილეობაზე („მილანი“ ამ თასის მფლობელია) და ითამაშებს ჩემპიონთა თასზე. უეფა-მ უარი უთხრა თასების მფლობელთა თასის უკანასკნელ ფინალისტს „ჰამბურგერ შპორტფერაინს“ (გფრ), რომელსაც სურდა „მილანის“ ადგილის დაკავება ამ შეჯიბრებაში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### თბილისი სპორტული ბაზრობა

**ფეხბურთი** „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. **დღეს:** „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 30 წ.

### [illegible]

## ახალი ამბები

- **ვალდკრაიბურგი** (გფრ), 1 ივლისი. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში იოჰანესბურგელმა სპრინტერმა პ. ნეშმა 200 მ 20,6 წამში გაირბინა.
- **გიმო,** 1 ივლისი. ცენტრალური შვეციის ამ პატარა ქალაქში დიდი საერთაშორისო შეჯიბრება გაიმართა. ავსტრალიელმა რ. კლარკმა წლევანდელი მსოფლიო სეზონის საუკეთესო შედეგით (7.56,0) გაირბინა 3000 მ. გამარჯვებულს სულ ნახევარი წამით ჩამორჩა იაპონელი კ. სავაკი, რომელმაც თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა. 20 წლის კ. ლიუნდმარკმა (შვეცია) 213 სმ სიმაღლე გადალახა.
- **ბერნი,** 1 ივლისი. **ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონმა ლ. დევისმა წლეულს ევროპის სტადიონებზე „საუკეთესო“ შედეგს მიაღწია სიგრძეზე ხტომაში — 823 სმ. ეს დიდი ბრიტანეთის ახალი რეკორდია.**
- **ოსნაბრიუკი** (გფრ), 1 ივლისი. 800 მეტრზე რბენაში წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი აჩვენა აქ ჰოლანდიელმა მძლეოსანმა ქალმა ი. კაიზერლამანმა — 2.02,2. II ადგილზე გასულმა ი. სილაიმ რუმინეთის ახალი რეკორდი დაამყარა — 2.02,5. რუმინელებმა კიდევ რამდენიმე მაღალი შედეგი მოიპოვეს: ლია მანოლიუმ ბადრო 57,98 მეტრზე ტყორცნა, ხოლო ვ. ვისკოპულეანუ 644 სმ სიგრძეზე გადახტა. გფრ-ის წარმომადგენელმა მ. ფუქსმა 16,77 მეტრზე ჰკრა ბირთვი, ხოლო ამ სპორტსმენი ქალის თანამემამულემ ამელი კოლოსკამ — შუბი — 57,98 მეტრზე. ამ შედეგით კოლოსკამ აჯობა ოლიმპიურ ჩემპიონს, რუმინელ მ. პენეშს (49,12). ლია ლოუერმა (ჰოლანდია) თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე რბენაში — 53,7. 4×100 მ ესტაფეტაში გფრ-ის გუნდმა 44,7 წამი აჩვენა, ხოლო ჰოლანდიისამ — 44,9.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04147